დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 108261896**

თარიღი:**08/07/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ს.კ 82.18.42.461 პრივატიზებისათვის პირობებიაბი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტის, 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 117-ე მუხლის, ,,მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებისა და ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260236 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ პანტიანში მდებარე 25737 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (პ.ნ 82.18.42.461) პრივატიზებისათვის, საპრივატიზებო საფასურის - 102948 (ასორიათასცხრაასორმოცდარვა) ლარის ოდენობით.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობა განისაზღვროს 30000 (ოცდაათიათასი) ლარი, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 300 (სამასი) ლარით. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა საპრივატიზებო თანხის გადახდის ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს:

ა) აუქციონში გამარჯვებულ პირსა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის შესაბამის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში;

ბ) ამავე ბრძანების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოქმის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა აუქციონში გამარჯვებული პირი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგენს მუნიციპალიტეტის ქონების შეძენის სრული ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;

გ) აუქციონში გამარჯვებულ პირსა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის შესაბამისი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 22 (ოცდაორი) კალენდარული დღის ვადაში. შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მოაწყოს ტურისტული ინფრასტრუქტურა და დასასვენებელი ადგილი, სოფლის-მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით;

დ) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის

ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, საპრივატიზებო უძრავი ქონების ან მისი ნაწილის განვითარების მიზნით, ამავე უძრავ ქონებაზე არანაკლებ 500000 (ხუთასიათასი) ლარის (დღგ-ს გათვალისწინების გარეშე) ინვესტიციის სრულად განხორციელება;

4. მყიდველი ვალდებულია პირობიანი ელექტრონული აუქციონის ჩატარებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში წარმოადგინოს ამ ბრძანების მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს ამ ბრძანების მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას.

5. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 36 თვისა, მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია, წარუდგინოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტს ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების თაობაზე. ინფორმაცია დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი აკრედიტაციის/ლიცენზიის მქონე სუბიექტის დასკვნით.

6. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე არ აქვს უფლება აღნიშნული ქონების ნაწილი საკუთრებაში ან სარგებლობის უფლებით გადასცეს სხვა პირს ან უფლებრივად დატვირთოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობის გარეშე.

7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმითა და ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ:

ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი სრული გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი ღირებულების 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით ან/და ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების სხვა პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%ს.

8. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში პრივატიზებული ქონება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ბრუნდება, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება, თუ აღნიშნული ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. ამასთანავე, მყიდველს მუნიციპალიტეტი არ აუნაზღაურებს გადახდილ თანხებსა და გაწეულ ხარჯებს.

9. ინფორმაცია ელექტრონულ აუქციონის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე WWW.eauction.ge.

10. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს 2026 წლის 08 ივლისიდან 2026 წლის 17 ივლისი 17:00 საათის ჩათვლით.

11. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

12. ამ ბრძანების დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.dmanisi.gov.ge გამოქვეყნება დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურს.

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული მხარის მიერ, მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, დმანისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. დმანისის, წმინდა ნინოს ქ. N41).

თემური ზურაბიშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი